განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (ამჟამად ალტე უნივერსიტეტი)

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15, 18 ოქტომბერი 2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10. 12. 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (ამჟამად ალტე უნივერსიტეტი)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ჟურნალისტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (გადაწყვეტილება N812, 13.12.2012)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქეშელაშვილი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა ცოტნიაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გვენეტაძე, პიზას უნივერსიტეტი, იტალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწე, საერთშორისო მოთხოვნების შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი მიმართულებებით წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ დემოკრატიული, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი მედიის და საზოგადოების შექმნას და განვითარებას, ჟურნალისტიკის მაღალპროფესიული ევროპული სტანდარტების დანერგვას და განმტკიცებას. პროგრამა 8 სემესტრისგან შედგება, რომლის განმავლობაში სტუდენტები აგროვებენ 240 კრედიტს და გადიან სფეროს ძირითად კურსებს და თავისუფალ სავალდებულო და არჩევით კურსებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, გავიდნენ პროგრამის ცხრა შედეგზე. პროგრამა მოიცავს სავალდებულო პრაქტიკას, რომლის გავლა შეუძლიათ როგორც უნივერსიტეტის შიდა სტაჟირების ფარგლებში, ისე არაერთ მედია ორგანიზაციაში, რომელთანაც გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს პროგრამა. პროგრამა ასევე მოიცავს სავალდებულო საბაკალავრო კვლევით ნაშრომს. პრაქტიკაც და კვლევითი ნაშრომიც 5-5-კრედიტიანია. თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ, აირჩიონ როგორც პროგრამის მიერ შეთავაზებული არჩევითი საგნები, ისე უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამების მიერ შეთავაზებული საგნები.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს, დასაქმდეს მედია ორგანიზაციაში (გაზეთში, ჟურნალში, სატელევიზიო

კომპანიაში, რადიოკომპანიაში, საინფორმაციო სააგენტოში, მედიაჰოლდინგში, ინტერნეტგამოცემაში, ტელე-რადიო პროდუქციის მწარმოებელ სტუდიებში), სარეკლამო და პიარ-კომპანიებში; სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სტრუქტურაში, მისი კვალიფიკაციის შესაბამის თანამდებობაზე (ჟურნალისტის/კორესპოდენტის/რეპორტიორის, რიგითი რედაქტორის, დაბალი რგოლის მედიამენეჯერის, პროდიუსერის, პრეს-სამსახურის თანამშრომლის) პოზიციაზე. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში. ასევე, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გააგრძელებას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი და ორი თანახელმძღვანელი, რომელთა გამოცდილება და თანამშრომლობა უზრუნველყოფს პროგრამის სხვადასხვა მიმართულებით გაძლიერებას. მას ასევე ჰყავს გამოცდილი პრაქტიკოსი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო რადიო და სატელევიზიო ლაბორატორია, სადაც სტუდენტები იძენენ სამაუწყებლო მედიისთვის აუცილებელ პრაქტიკულ გამოცდილებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (15.10.2021 და 18.10.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება, ონლაინ ინტერვიუები). ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც განისაზღვრა ძირითადი საკითხები და შეკითხვები, როლებიც ინტერვიუების დროს იქნა გამოყენებული.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგის დაცვით. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების წარდგენა. იყო კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემო. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მოგვცა, მიგვეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილი იყოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.“

- რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აისახოს სავალდებულო ლიტერატურის რეალისტური რაოდენობა, კერძოდ, შემცირდეს და გადანაწილდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო სილაბუსებით გათვალისწინებულ სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა კონკრეტული გვერდების (სულ მცირე სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის) მითითებით.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ არ არიან სათანადოდ ინფორმირებული უსდ-ს მიერ შეთავაზებული სერვისების, შესაძლებლობების მათ შორის, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში ჩართვის, შესახებ.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლე-ბელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყოს, ასევე, შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან გამომდინარეობდეს და თვითშეფასება მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კარგი იქნება სასწავლო კურსთა სილაბუსებში აქტივობის ქულების გადანაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
  - სასურველია, მეტი სიცხადისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა).
  - კარგი იქნება, სასწავლო კურსი „ჰიბრიდული ომების გავლენა მედიაზე“ მოდიფიცირდეს „საინფორმაციო ომების გავლენად მედიაზე.“
  - სასურველია, საბაკალავრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებისა და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას პრაქტიკაში სათანადო ყურადღება მიექცეს.
  - სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.
  - სასურველია, უსდ-მ გადახედოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესს და განიხილოს პრაქტიკული მეცადინეობის ფიზიკურად ჩატარების შესაძლებლობა, კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით.
  - კარგი იქნება, ზოგიერთი საგნის სილაბუსში გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები სილაბუსებში და მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდისგან, ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნდეს.
  - სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია უნივერსიტეტის მეილების მეშვეობით ხდებოდეს და არა ფეისბუქ-ჯგუფების მეშვეობით;
  - სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პროფესიისთვის.

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა მოითხოვოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა სრულად ასახვა CV-ში.
- სასურველია, გასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობა.
- სასურველია, ლაბორატორიების დამატებისა და მათთვის აუცილებელი ინვენტარის გაზრდის ტენდენცია გაგრძელდეს.
- სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები, სასწავლო-სამეცნიერო მიზნების სრულად განხორციელებისთვის კი განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ღონისძიებები.
- სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასების დროს ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა.
- კარგი იქნება, გარე შეფასების ინსტრუმენტები (გამოკითხვები, ანკეტები, კითხვარები) დაიხვეწოს და განისაზღვროს მათი გამოსწორების რელევანტური ღონისძიებები.
- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის მოქმედების ვადა გაახანგრძლივოს და ამის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული ბიბლიოთეკა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2012 წლის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რომლებიც საბოლოო სახით შევიდა წარმოდგენილი პროგრამაში. ცვლილებებს შორის უნდა გამოიყოს პროგრამის გაძლიერება დარგობრივი ჟურნალისტიკის სწავლების მიმართულებით და ასევე, ინოვაციური კურსი, რომელიც ორგანიზაცია „უფლებები საქართველოსთან“ და „საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიასთან“ თანამშრომლობით და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა ადამიანის უფლებათა მედია ლაბორატორია და შემუშავდა ინოვაციური კურსი „ადამიანის უფლებათა ჟურნალისტიკა“.

ასევე, აღნიშვნის ღირსია კურსდამთავრებულთა პროფესიის მიხედვით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

განვმარტავთ, რომ საბოლოო დასკვნაში შევიტანეთ მცირეოდენი ცვლილება, კერძოდ, 2.4 ქვესტანდარტის რჩევა და აღწერით ნაწილში შესაბამისი განმარტება გადავანაცვლეთ 2.3 ქვესტანდარტში. ასევე, გავეცანით უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხს, თუმცა რეკომენდაციებსა და რჩევებს უცვლელად ვტოვებთ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ეხმიანება როგორც თანამედროვეობის გამოწვევებსა და საჭიროებებს, ასევე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროფესიის დასაუფლებლად საჭირო იმ ცოდნისა და უნარების მიცემას, რაც დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერებისთვის არის მნიშვნელოვანი და საბოლოოდ საზოგადოებისა და სფეროს განვითარებაზე აისახება. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რეალისტური და განხორციელებადია. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას სამი ფართო მიზანი აქვს: 1. ჟურნალისტიკის სფეროში, თანამედროვე პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, ფართო თეორიული ცოდნის მიცემა, დემოკრატიული საზოგადოების, თავისუფალი მედიის პრინციპების გააზრება და მყარი საფუძვლის შექმნა მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღებისთვის. 2. ჟურნალისტიკის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების, პროფესიული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბება და კრიტიკული აზროვნების განვითარება. 3. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ჟურნალისტიკის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას მედიასა და მასთან მომიჯნავე სფეროებში. პროგრამა არ წარმოადგენს რომელიმე პროგრამის დუბლირებას და შექმნილია

ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის პროგრამების შესწავლის, შრომის ბაზრის ანალიზის შედეგების საფუძველზე. ამ უკანასკნელს ადასტურებს როგორც წარმოდგენილი შრომის ბაზრის ანალიზი, ისე გარე ექსპერტების შეფასებები, რომლებიც დარგის გამოცდილი სპეციალისტებმა გამოთქვეს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან დგინდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- TOU-ს ვებგვერდი: https://tou.edu.ge/ ;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- გარე ექსპერტების შეფასებები;
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშები - ჟურნალისტიკის პროგრამის შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი. სწავლის შედეგების მიღწევა სათანადოდ ამზადებს კურსდამთავრებულს სწავლის მომდევნო, მაგისტრატურის, საფეხურზე გაგრძელების ან/და დასაქმდეს პროფესიით და დააკმაყოფილოს პროფესიული და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. თუმცა, შესაძლებელია როგორც სტუდენტების უფრო წარმომადგენლობითი ჩართულობის მექანიზმის გაძლიერება, ასევე გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება (დეტალურად იხ. 3.1 და 5.2 ქვესტანდარტი).

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელთაც სტუდენტი გამოავლენს პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში:

1. კრიტიკულად იაზრებს ჟურნალისტიკის თეორიის საფუძვლებს და ძირითად კონცეფციებს, ისტორიასა და თანამედროვე გამოცდილებას, მის როლს საზოგადოების ცხოვრებაში;
2. განმარტავს ბეჭდური, ელექტრონული და ონლაინ მედიის გამოსახვის ფორმებსა და თავისებურებებს;
3. განსაზღვრავს თემის აქტუალურობას და შესაბამისი ინფორმაციის/მონაცემების გამოყენებით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაკონტენტს;
4. იყენებს გამოსახვის/თხრობის აუდიო-ვიზუალურ ხერხებს და ქმნის კონკურენტუნარიან მულტიმედიურ პროდუქციას;
5. ასრულებს რეპორტიორის/კორესპონდენტის, მცირე ფორმატის საინფორმაციო/თემატური გადაცემის წამყვანის ფუნქციას, მათ შორის - არასტანდარტულ სიტუაციებში;
6. გუნდური თუ ინდივიდუალური საქმიანობისას ურთიერთობებს

წარმართავს კოლეგიალურად, ეფექტიანად და შემოქმედებითად;

7. იცავს მედიის თავისუფლებისა და საქმიანობის მარეგულირებელ პროფესიულ-ეთიკურ სტანდარტებს, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, გენდერული თუ სხვა ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს;
8. შეისწავლის პრობლემურ საკითხებს და რელევანტური წყაროების ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე შეიმუშავებს ეთიკურად და პროფესიულად პასუხისმგებლიან დასკვნებს;
9. ნათლად აყალიბებს საკუთარ პოზიციას და არგუმენტებს მიზნობრივ აუდიტორიებში გამართულ დისკუსიებში/დებატებში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ასევე წერილობით.

პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. ასევე, პროგრამის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. ამასთან, პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისა და შედეგების შეფასების გზების შესახებ მუდმივად მიმდინარეობს კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელობასა და პროფესურას შორის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მართავს შეხვედრებს და სთავაზობს ტრეინინგებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასაუმჯობესებლად (4.2).

სწავლის შედეგების ანალიზი მოიცავს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე - არაპირდაპირ მეთოდებს (დეტალურად იხ. 5.1) და ნაწილობრივ საჭიროებს დახვეწას, რათა უკეთ შეუწყოს ხელი პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებას (იხ. 5.2, 5.3).

ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ სტუდენტები პროგრამის ხელმძღვანელებისა და ლექტორებისგან მუდმივად იღებენ უკუკავშირს საკუთარი პროგრესისა და შედეგების მიღწევის მიზნით შესაძლო გზების შესახებ (იხ. 2.6, 3.1).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები ორიენტირებულია ჟურნალისტიკის სფეროში ბაკალავრის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღწევის უზრუნველყოფაზე და აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების (მეექვსე დონე), სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული შინაარსის, ჟურნალისტიკის სფეროს განვითარების ტენდენციების, ჟურნალისტიკის ბაკალავრის დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამის მიზნების, დოკუმენტაციის, კურსების სილაბუსების, ინტერვიუების ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია უცხო გარემოსთან ადაპტირების უნარი და ეთიკური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება, რაც გვაძლევს საფუძველს, რეკომენდაცია მივცეთ პროგრამას, გაითვალისწინოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და

ავტონომიურობა“ და, შესაბამისად, წარმოაჩინოს პროგრამის შედეგებში, მიუხედავად კანონმდებლობით ასეთი ვალდებულების არარსებობისა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ უსდ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც რამდენიმე წყაროს ეყრდნობა:

1. ხდება სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკაზე დაკვირვებას.
2. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია შედეგების რუკა, რომელიც პროგრამის და სასწავლო კურსების/მოდულების სწავლის შედეგების დადარების საშუალებას იძლევა.
3. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება ხდება. სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამ-ჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

ჟურნალისტიკის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მნიშვნელოვან გამოწვევად მიგვაჩნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილი იყოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. ეს მყარდება სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოკვეთილი მოსაზრებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების /კომპონენტების სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი - https://tou.edu.ge/quality-assessment-mechanisms
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ხარისხის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოდგენილი იყოს

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	X			

შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად; პროგრამაში მოხვედრის მსურველი ეროვნული გამოცდების ფარგლებში აბარებს ქართულ ენასა და ლიტერატურას, ნებისმიერ უცხო ენას და ისტორიას ან მათემატიკას. ასევე, პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც არ ჩაუბრებიათ ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საშუალებას, ისინი პროგრამაში ჩაირიცხონ. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს, ასევე, ბაკალავრიატის სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა უსდ-დან გადასვლის წესით ან შიდა მობილობით, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს წარმატებული სწავლისათვის აუცილებელ საჭიროებებს და მჭიდრო კავშირშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯაროა და ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://tou.edu.ge/; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში არსებული „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესით“ განსაზღვრული დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები ორიენტირებულია ჟურნალისტიკის სფეროში ბაკალავრის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღწევის უზრუნველყოფაზე და აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული შინაარსის შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს, რასაც ადასტურებს კურიკულუმში დროთა განმავლობაში შესული ცვლილებები და კურსების შინაარსი. ეს დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუდანაც.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, რაც ნათლად ჩანს სწავლის შედეგების რუკასა და სილაბუსებშიც. ჟურნალისტიკის ბაკალავრის მომზადება ხდება ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტების მეშვეობით. კერძოდ, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 140 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსები - მინიმუმ 12 კრედიტი;
- პრაქტიკა - 5 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომი - 5 კრედიტი.

გარდა სავალდებულო კურსებისა, პროგრამა მოიცავს ასევე თავისუფალ კომპონენტს, საიდანაც:

- სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 63 კრედიტს;
- თავისუფალი სასწავლო კურსები (სასწავლო გეგმაში მითითებული და/ან სხვა) - მინიმუმ 15 კრედიტს.

თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსად სტუდენტს, სასწავლო გეგმაში მითითებულის გარდა, შეუძლია აირჩიოს უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი, შესაბამისი წინაპირობის და სწავლების სემესტრის გათვალისწინებით.

პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია შრომის ბაზარის კვლევა და გამოკვეთილი პრიორიტეტი - მეტი პრაქტიკული მეცადინეობა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტი - გათვალისწინებულია პროგრამაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამას ერთვის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც

დეტალურადაა აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. საბაკალავრო პროგრამა, პროგრამით განსაზღვრული შედეგები და სასწავლო კურსების, პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შესწავლა იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამა საჯარო და მასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://tou.edu.ge/.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • კურიულუმის რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი; • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევა; • პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია სილაბუსებში, სადაც წარმოდგენილია: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი და/ან განმახორციელებელი, სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, სწავლის შედეგების და შეფასების რუკა. სილაბუსების გაცნობამ და ინტერვიუმ სასწავლო კურსების განმახორ-ციელებლებთან გაამყარა ჩვენი პოზიცია, რომ პროგრამაში უნდა იყოს წარმოდგე-ნილი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ (იხ. 1.2. კომპონენტის რეკომენდაცია). სილაბუსებსა და ინტერვიუების სესიების დროის გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამის კურსდამთავრებულთათვის უპირობოდ მნიშვნელოვანია კომპლექსურ, არაპროგ-ნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება, საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის

მაღალი ხარისხით განხორციელება, რაც წარმოქმნის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციის განვითარებას პროგრამის ფარგლებში.

ზოგიერთი საგნის სილაბუსით აქტივობის ქულის გადანაწილების საკითხი მოითხოვს გადახედვას გარკვეული ტექნიკური უზუსტობების გასწორების თვალსაზრისით. ასეთი პრობლემა გვხვდება სასწავლო კურსის „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ სილაბუსში. კერძოდ, აქ განსაზღვრულია, რომ ჯგუფში მუშაობა სულ ფასდება 30 ქულით. ჯგუფში მუშაობისას გათვალისწინებულია 1-ქულიანი დისკუსია-დებატები (სულ მაქსიმუმ 15), ხოლო მე-2, მე-7 და მე-14 კვირას - 2-ქულიანი პრაქტიკული სამუშაოს შესრულება. დისკუსია-დებატებისა და პრაქტიკული სამუშაოების შედეგად სტუდენტი ჯამში 21 ქულას აგროვებს და არა 30-ს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ უზუსტობის გასწორება.

მსგავსი ხარვეზი გვხვდება სასწავლო კურსის „ბეჭდური მედია“ სილაბუსით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფში დისკუსიისა და ტესტირების შეფასების შემთხვევაშიც, რომელშიც 16 კვირიდან 4 კვირა გამოკითხვებს არ ეთმობა, ანუ რჩება 12 კვირა. ამ თვალსაზრისით, დასაზუსტებელია, როგორ ნაწილდება პრაქტიკული მეცადინეობის 21 ქულა 12 კვირაზე.

აქვე საყურადღებოა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის („კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქება“, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, „ფოტო და ვიზუალური ჟურნალისტიკა“, „კიბერკულტურა და „კიბესუსაფრთხოება“, „ინტერნეტ ჟურნალისტიკა და სოციალური მედია“, „ტელე და კინო დოკუ-მენტალისტიკა“, „მედიაწიგნიერება, დეზინფორმაცია და ფაქტების გადამოწმების საშუალებები“ და სხვა) სილაბუსებში ნათლად ჩანდეს ასახსნელი საკითხები (სალექციო თემები) გამოსაყენებელი ლიტერატურის გვერდების მოცულობის მითითებით. ეს, პირველ რიგში, ხელს შეუწყობდა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, შემდეგ კი გაამარტივებდა სილაბუსში ასახული სავალდე-ბულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ დავაკვირდებით საგნის „ინტერნეტ ჟურნალისტიკა და სოციალური მედია“ სილაბუსს, ძირითადად, მხოლოდ განსახილველი სათაურია წარმოდგენილი, მაგრამ სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობა არაა ასახული. დისციპლინის „კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქების“ სილაბუსში რამდენიმე კვირას გარკვეულწილად დაზუსტებულია ასახსნელი მასალა, თუმცა ზოგიერთ კვირას მხოლოდ განსახილველი სალექციო თემის სათაურია წარმოდგენილი. იგივე სურათი ჩანს სასწავლო კურსის „მედიაწიგ-ნიერება, დეზინფორმაცია და ფაქტების გადამოწმების საშუალებები“ სილაბუსში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სხვა სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვაც. ამდენად, დგინდება საგნების სილაბუსების მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების საჭიროება (განსახილველი თემა, მისი მოკლე აღწერა, სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა).

ასევე, იგრძნობა სასწავლო კურსების სილაბუსით გათვალისწინებული

სავალდებულო ლიტერატურის რეალისტურ რაოდენობამდე დაყვანის საჭიროება. მაგალითად, დისციპლინის „ინტერნეტ ჟურნალისტიკა და სოციალური მედია“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა შეიცავს 11 ნაშრომს, რომელთაგან მხოლოდ ერთს აქვს მითითებული კონკრეტული თავი, დანარჩენს არც თავი უწერია და არც გვერდები. არადა ამ საგნის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობის მითითება აუცილებელი იყო რელევანტურობის განსაზღვრისთვის. ამასთან, საგნის „გენდერი და მოწყვლადი ჯგუფების საკითხების გაშუქება მედიაში“ სავალდებულო ლიტერატურა 24 ნაშრომია, კურსის „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში 17 ნაშრომია დასახელებული, დისციპლინის „ტელეჟურნალისტიკა“ სილაბუსში ასახულია 18 სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო საგნის „მედია სამართალი და ადამიანის უფლებათა ჟურნალისტიკა“ სილაბუსით სავალდებულო ლიტერატურა 25-ია. ამავე დროს, კარგი იქნება, „მედია სამართალი და ადამიანის უფლებათა ჟურნალისტიკა“ სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურას დაემატოს თ. ალფაიძის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო სახელწოდებით „მედიასამართალი.“

ასევე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსი „ჰიბრიდული ომების გავლენა მედიაზე“ უნდა მოდიფიცირდეს „საინფორმაციო ომების გავლენად მედიაზე“, რადგან ჰიბრიდული ომი გაცილებით ფართო მასშტაბის ცნებაა, ვიდრე ეს სილაბუსში ჩანს და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის საინფორმაციო ომების კონტექსტი გაცილებით მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- კურიკულუმის რუკა;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში აისახოს სავალდებულო ლიტერატურის რეალისტური რაოდენობა, კერძოდ, შემცირდეს და გადანაწილდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო სილაბუსებით გათვალისწინებულ სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა კონკრეტული გვერდების (სულ მცირე სავალდებულო

ლიტერატურის მოცულობის) მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება სასწავლო კურსთა სილაბუსებში აქტივობის ქულების გადანაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
- სასურველია, მეტი სიცხადისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა);
- კარგი იქნება, სასწავლო კურსი „ჰიბრიდული ომების გავლენა მედიაზე“ მოდიფიცირდეს „საინფორმაციო ომების გავლენად მედიაზე.“

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ჟურნალისტის პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. აღნიშნული უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს.

გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას უსდ-ს გარეთ, რაც არაერთი მემორანდუმით დასტურდება. მემორანდუმების მხოლოდ ნაწილშია განსაზღვრული პრაქტიკის დეტალები - სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა, თუმცა, აღნიშნულია სემესტრის ბოლოს შეფასების ვალდებულება, რაც მიანიშნებს, რომ პრაქტიკა მთელი სემესტრის განმავლობაში შეიძლება მიმდინარეობდეს. ხშირად ზოგადი ჩანაწერი მიანიშნებს, რომ პრაქტიკის დაწყების წინ მოხდება დეტალების დაზუსტება, თუმცა, სასურველია, მსგავსი დეტალები წინასწარ იყოს შეთანხმებული დამსაქმებლებთან.

პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადია და ხდება სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული აქტივობის და მის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე და ფასდება 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად. პრაქტიკის დღიურის, პრაქტიკის ანგარიშისა და შუალედური და დასკვნითი პრეზენტაციების შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი ადგენენ დახასიათებებს. პრაქტიკის ხელმძღვანელის დახასიათებაში მიეთითება ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის პრაქტიკის პროცესში ჩართულობის შესახებ. პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის დახასიათება არ ითვალისწინებს სტუდენტის აქტივობის შეფასებას. მენტორის დახასიათებაში აღწერილია სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი ცოდნა და უნარები, მოცემულია სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ზოგადი აღწერა, შენიშვნები და რეკომენდაციები (არსებობის შემთხვევაში). დახასიათებას ერთვის სტუდენტის აქტივობის შეფასების უწყისი.

უსდ ასევე ცდილობს სტუდენტის საუნივერსიტეტო კვლევით პროექტებში ჩართვას. ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტსა და საბაკალავრო ნაშრომს. უნივერსიტეტი პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. კონფერენციის მოხსენებები იბეჭდება უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო შრომების კრებულში.

ინტერვიუების სესიიდან გამოიკვეთა პრაქტიკული სასწავლო კურსების საუნივერსიტეტო და პრაქტიკის განხორციელების ბაზებზე გავლის სურვილი პროფესორებსა და სტუდენტებს შორის, რაც მენეჯმენტის მხრიდან ყურადღებას იმსახურებს.

სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი არის საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც 5 კრედიტის მოცულობით არის პროგრამაში გათვალისწინებული. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის ასახული როგორც პროგრამაში, ისე საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში. წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების ნიმუშები ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს კვლევითი უნარების განვითარებას და კვლევით პროცესებში/პროექტებში სტუდენტების ჩართვას, თუმცა, აკადემიური კვლევის უნარების გაძლიერებისა და იმისათვის, რომ სტუდენტი სათანადოდ მოემზადოს სამაგისტრო საფეხურზე კვლევის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, სასურველია, შეფასების კრიტერიუმები სრულად იყოს დაცული ნაშრომებში. მაგალითად, საუკეთესო შეფასების მქონე ნაშრომში არ ჩანდა/არ იყო აღწერილი გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია კვლევითი ნაშრომის დროს და ასევე ისწავლება შესაბამისი კურსის ფარგლებში. ასევე, საბაკალავრო ნაშრომებში შეინიშნებოდა პრობლემები აკადემიური სტანდარტების დაცვის თვალსაზრისითაც. არადა ეს გასათვალისწინებელია იმისათვის, რომ სტუდენტი აღიჭურვოს სათანადო ცოდნითა და უნარებით სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

- სასურველია, უსდ-მ გადახედოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესს და განიხილოს პრაქტიკული მეცადინეობის ფიზიკურად ჩატარების შესაძლებლობა, კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით.
- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებისა და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას პრაქტიკაში სათანადო ყურადღება მიექცეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდე-ბი დეტალურად არის ასახული პროგრამასა და სილაბუსებში. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამისა და კურსების შინაარსს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ზოგადად, კურსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია - ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, ანალიზი,

დისკუსია/დებატები, ვერბალური გადმოცემა, პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი, როლური/სიტუაციური თამაშები, წერითი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და სხვა.

პროგრამის, სილაბუსებისა და ინტერვიუს შედეგებიდან ვლინდება, რომ ლექციები ინტერაქციულია და ლექცია-სემინარებზე გამოყენებული მეთოდოლოგიის შედეგად ხდება განვლილი თემების გააზრება და კრიტიკული ანალიზი, ხოლო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეული კურსები პროფესიული პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაზეა ფოკუსირებული.

როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტევიუები, ისევე სილაბუსები ადასტურებს, რომ პროგრამის პროფესურის მიერ სწავლა-სწავლების არაერთი მეთოდი გამოიყენება, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში დასაკორექტირებელია სწავლების მეთოდებისა და შეფასების კომპონენტების შესაბამისობა. მაგალითად, საგნის „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ აქტივობად გათვალისწინებულია კითხვა-პასუხი, როლური და სიტუაციური თამაშები, შეფასების მეთოდად კი - დისკუსიაში მონაწილეობა, პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულება. შეფასების კრიტერიუმებში მითითებულია დისკუსიაში მონაწილეობა, ფაქტობრივი მასალის ცოდნა და სხვა, მაგრამ არაა განსაზღვრული „როლური და სიტუაციური თამაშები“, რომელიც სილაბუსით აქტივობის ფორმადაა მიჩნეული. არადა როლური და სიტუაციური თამაშები ვერ იქნება აქტივობის ფორმა, ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. საგნის „ბეჭდური მედია“ სწავლება-სწავლის აქტივობებს შორის დასახელებულია ანალიზი და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, თუმცა ისინი სწავლების მეთოდებია. ასევე, სასწავლო კურსის „მედიამენეჯმენტი“ სილაბუსში სწავლება-სწავლის აქტივობებად წარმოდგენილია დემონსტრირება, საკონტროლო კითხვები და დისკუსია, შეფასების მეთოდებად გვხვდება საშინაო დავალების შესრულება (დისკუსია), საკონსტროლო წერა და რეფერატის წარდგენა, ხოლო შუალედურ გამოცდაზე - დახურული ტესტი და თეორიული საკითხი. ანალოგიური სურათია ასახული დისციპლინის „საზღვარგარეთის მედია“ სილაბუსში. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ჩანს, ერთი მხრივ, სწავლების მეთოდთა ცალკე გამოყოფის, მეორე მხრივ, მათი გამრავალფეროვნების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება, ზოგიერთი საგნის სილაბუსში გადაიხედოს შეფასების ინ-სტრუმენტები სილაბუსებში და მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდისგან, ასევე, სწავლების მეთოდები უფრო მეტად გამრავალფეროვნდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. უნივერსიტეტი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS). უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით

დადგენილი წესის საფუძველზე. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა, სადაც მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა. იგივე სისტემით ფასდება საბაკალავრო ნაშრომიც და პრაქტიკაც.

ლექტორებისთვის კარგად არის ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები, თუმცა, მათ უსდ ასევე აძლევს შესაძლებლობას, გაიმყარონ ან გაიუმჯობესონ ცოდნა შესაბამის ტრეინინგებზე დასწრების გზით.

სტუდენტის შეფასება მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მრავალჯერად შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომელთა ჯამი შეადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმას/კომპონენტს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც, სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სასწავლო კურსებში ფასდება სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავალების, რეფერატების/პრეზენტაციების მომზადება, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები და სხვა.

სტუდენტისთვის კურსის სილაბუსი ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზის მეშვეობით და, შესაბამისად, წინასწარ არის ცნობილი. სასწავლო კურსის დაწყების პირველივე შეხვედრაზე ლექტორი წარუდგენს სტუდენტებს კურსის შინაარსს, შეფასების კომპონენტებს და აცნობს სილაბუსს, რასაც როგორც ლექტორები, ისე სტუდენტები ადასტურებენ ინტერვიუს დროს. ასევე, სასწავლო კურსის მიმდინარეობისას თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ეცნობება სტუდენტს.

ლექტორებთან ხშირი კომუნიკაცია სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მუდმივად იყვნენ ინფორმირებული საკუთარი წინსვლისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ამასთან, თითოეული სტუდენტის GPI-ს ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტი სტუდენტთან ინდივიდუალურ კონსულტაციას ატარებს მიღწევების ამაღლების მიზნით და შესაბამის გეგმას სახავს. ინდივიდუალურად ხდება იმის შეფასება, თუ სად აქვს სტუდენტს სუსტი მხარე, რა არის რეგრესის გამომწვევი მიზეზი და ა. შ.

აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტებს სთავაზობს ტრეინინგებს შესაბამისი მიმართულებით, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემოწმების მიზნით იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გასაჩივრებას და შესაბამისი პროცედურები და გასაჩივრების მექანიზმები დეტალურად არის გაწერილი „გამოცდების ჩატარების დებულებაში“, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე (https://tou.edu.ge/about-regulatory) ყველა დაინტერესებული პირისთვის. დებულება სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს შუალედური თუ დასკვნითი შეფასებისთვის წარდგენილი ნაშრომის ხელახალი შესწავლა, შესაბამისი წარმომადგენლობითი კომისიის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; • გამოცდების ჩატარების დებულება - შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა (https://tou.edu.ge/about-regulatory); • შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (https://tou.edu.ge/about-regulatory).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სათანადო კრედიტების რაოდენობის ფარგლებში ძირითადი და არჩევითი საგნების შეთავაზებას. სტუდენტმა თავისი ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია აირჩიოს სასურველი საგანი როგორც პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნებიდან, ისე უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, წინაპირობების გათვალისწინებით. ამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ პროგრამაში – ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემა". ასევე, სტუდენტებს უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები კურსის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ელექტრონულ პროგრამაში ასევე თავსდება ინფორმაცია თითოეული კურსის შესახებ, სილაბუსი, შეფასების კომპონენტები და ასევე, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ სტუდენტები პირველ ლექციაზე იღებენ ინფორმაციას საგნის სილაბუსის შესახებ. პერსონალის მართვის წესი ითვალისწინებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილ საათებს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ **აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმისაწვდომი და ღიაა სტუდენტებთან ლექციებს შემდეგ კომუნიკაციისთვის სხვადასხვა ფორმით,** რომელთა შორის, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ ყველაზე ხშირად კომუნიკაცია სოციალური ქსელების, უფრო მეტად - ფეისბუქის მეშვეობით ხდება. მსგავსი პრაქტიკა შეიძლება ხსნიდეს სტუდენტების მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას, მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს პროფესურის სამუშაო და საკონსულტაციო სივრცე აქვს გამოყოფილი, სადაც სტუდენტს შეუძლია ლექტორთან შეხვედრა.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ხშირად ძირითად საკომუნიკაციო წყაროდ იყენებს სოციალურ ქსელს, „ფეისბუქის" ჯგუფებს. შესაძლოა, ეს არაეფექტური იყოს, რამდენადაც ამ გზით გავრცელებული ინფორმაციის გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელახლა მოძიება რთულდება, მაშინაც, თუ სტუდენტმა ნახა იგი. შესაბამისად, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კომუნიკაციისთვის უფრო ხშირად უნივერსიტეტის მეილები გამოიყენოს, ვიდრე ფეისბუქ-ჯგუფები.

ყურადსაღებია, რომ ზოგადად ადმინისტრაციისგან კომუნიკაციის ნაკ-ლებობის განცდა გამოიკვეთა სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად. სტუდენ-ტები, ერთი მხრივ აღნიშნავდნენ პროგრამის ხელმძღვანელობისა და პროფესორ-მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდნენ ადმინისტრაციასთან ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობას.

სტუდენტთა დასაქმების ინდექსი უნივერსიტეტის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. შესაბამისად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა უნივერსიტეტის მნიშნელოვანი ფუნქციაა. უნივერსიტეტში არსებული **ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი** გეგმავს შეხვედრებს სტუდენტებთან და ასევე რთავს გამოცდილ სპიკერებს დასაქმებისთვის საჭირო უნარების განსავითარებლად, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი აქტივობები პანდემიის პერიოდში შემცირდა და ეს გამოვლინდა სტუდენტებთან ინტერვიუებშიც, როდესაც აღინიშნა რომ ორი წლის წინ გაცილებით ხშირად იდებოდა ინფორმაციები დასაქმების შესახებ და დღეის მდგომარეობით აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება შემცირებულია.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც 55%-ს შეადგენს. მაღალ მაჩვენებელს, სავარაუდოდ, ხელს უწყობს პროგრამის არაერთი მემორანდუმი და აქტიური თანამშრომლობა მედია და მომიჯნავე საქმიანობის ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ უნივერსიტეტის მარკეტინგის გუნდში.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების წესი ითვალისწინებს პროცესში სტუდენტების ჩართულობას, თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ ინტერ-ვიუირებული სტუდენტები ნაკლებად იყვნენ ჩართული დაგეგმვისა თუ

მოდიფიცირების პროცესებში და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ პროგრამის შემუშავების დასრულების შემდეგ მიიღეს. თუმცა, ამავე ინტერვიუებიდან, და ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სტუდენტების მოთხოვნებისა თუ მოსაზრებების გათვალისწინება ხდება პროგრამაში ცვლილებების პროცესში და ამის მაგალითი ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება და გაზრდაა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და განსაკუთრებით ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებსა თუ კვლევებში. როგორც ვიზიტისას გაირკვა, უსდ ცდილობს, უზრუნველყოს ინფორმაციის გვარცელება, სტუდენტებმა და ასევე კუსრდამთავრებულებმა გაიხსენეს სამეცნიერო კვლევითი პროექტები. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილ მათგანს არ ჰქონდა აქტიურად მონაწილეობა მიღებული, პროექტების შესახებ ინფორმაციის მიტანა უნივერსიტეტმა უზრუნველყო. გამოთხოვილი მასალების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოგვიდგინა განხორციელებული აქტივობები და აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე მათი რაოდენობა მზარდია (თუ არ ჩავთვლით პანდემიის საწყის პირველ წელს, რაც 2021 წელს გამოსწორდა). უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, რომ გაფორმებული აქვს რამდენიმე მემორანდუმი უცხოურ უნივერსიტეტებთან, აღნიშნული პროგრამიდან არ ჰყავს გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე არცერთი სტუდენტი. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ ჰქონიათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი, თუმცა, აპლიკაციის პროცესიც მათთვის ბუნდოვანი იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი; • უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები; • დასაქმების მაჩვენებლები; • კვლევა და შეფასება - საუნივერსიტეტო; • სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ არ არიან სათანადოდ ინფორმირებული უსდ-ს მიერ შეთავაზებული სერვისების, შესაძლებლობების მათ შორის, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში ჩართვის, შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია უნივერსიტეტის მეილების მეშვეობით ხდებოდეს და არა ფეისბუქ-ჯგუფების მეშვეობით;
- სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალისტის პროფესიისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ამასთან, პროგრამას ჰყავს ორი თანახელმძღვანელი, რომელთა ტანდემი უდავოდ ღირებულია პროგრამისთვის და პროგრამის სხვადასხვა ასპექტის განვითარებაზე ორიენტირებასაც მოიაზრებს. ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-დახვეწაში და, ამავე დროს, მიზანმიმართულია, ეფექტიანად შესრულდეს პრაქტიკაში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები. პროგრამის აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ყველა წესის გათვალისწინებით. კონკურსი არის გამჭვირვალე. თითოეული ვაკანსია განთავსებულია, როგორც უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მედიაში. პროგრამაში ჩართული

პერსონალის რაოდენობაა 37, თანაფარდობა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 1:13, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 1:5, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 1:0,76. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ბოლო ხუთი წლის მანძილზე 1%-ზე ნაკლებია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა, რაც ასევე მიანიშნებს პროგრამის მდგრადობაზე. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, პროგრამაზე არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობის ადეკვატურია. პროგრამაში ჩართულები არიან პრაქტიკოსი პირები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება და პროფესიულ საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს აქვს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გამოცდილება და სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და კომპეტენცია. ინტერვიუებიდან და პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ პროფესორ-მასწავლებლები ეწევიან სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით/პროფესიულ საქმიანობას. პროგრამის ხელმძღვანელი/ები ლიდერი/ები პროგრამის შემუშავების/განვითარების პროცესში, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში. უზრუნველყოფს სტუდენტებთან კონსულტაციებს და ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებაში. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა მათი სამეცნიერო და პედაგოგიური განვითარების მიმართულებებით. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული რესურსით. სულ ჩართულია 30 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმაცია (CV); • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს: **(ა) სტუდენტების მხრიდან პერსონალის შეფასებას, (ბ) პერსონალის თვითშეფასებასა და (გ) დეკანის მხრიდან პერსონალის თვითშეფასების ანალიზს**.

- პირველ რიგში, **სტუდენტები აფასებენ ლექტორებს** დადგენილი ინდიკატორების გათვალისწინებით, აკადემიური კურსის დასრულების შემდეგ. შეჯამებული შეფასების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პერსონალსა და შესაბამისი სკოლის დეკანატს. შედეგად ლექტორთა შეფასებები ექვემდებარება ანალიზს, რის საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.
- გარდა ამისა, ცალკე დატვირთვა აქვს **უშუალოდ თვითშეფასებას,** რომელიც ფაქტობრივად ეფუძნება ლექტორთა თვითკრიტიკას. მოცემულ შემთხვევაში ლექტორი თვითონ გამოყოფს იმ მხარეებს, რომლებიც აუცილებელია საკუთარი კურსისა და პიროვნების განსავითარებლად. ამას მოჰყვება შეფასების ანალიზი და შემდგომ რელევანტური ღონისძიებები იგეგმება.
- **თვითშეფასების დასრულებისას დეკანი აანალიზებს შესაბამისი ლექტორის თვითშეფას**ებას, მიაწვდის შეფასების შედეგებს პერსონალს, ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტს, ასევე, ხარისხის მართვის დეპარტამენტს.

ამასთან, სკოლის დეკანი გეგმავს მომდევნო სასწავლო წლისთვის ცვლილებებს, ხარისხის მართვის დეპარტამენტი კი მონიტორინგს უწევს საქმის შესრულებას. მიღებული **შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;** ამ და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით ხარისხის მართვის დეპარტამენტი ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს. აღსანიშნავია ტრენინგი თემაზე „აქტიური სწავლება, როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდი“, ასევე, ტრენინგი „ლიდერშიფი ყველასათვის“, რომელიც ექსკლუზიურად თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის დაიგეგმა.

გარდა ამისა, ინტერდისციპლინური მიდგომების გათვალისწინებით, **შედგა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის ინიცირებული სამუშაო** შეხვედრა. სხვადასხვა სამსახურის თანამშრომელს ჰქონდა აზრთა გაცვლის შესაძლებლობა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: პროფესიული უნარებისა და ღირებულებების რუკის ფორმირება, ნდობის ჩამოყალიბება სამსახურში, კონფლიქტების თავიდან აცილება; მოთხოვნებისა და ინტერესების გამიჯვნა/ეფექტიანი მოლაპარაკების ხელოვნება და ოქროს წესები.

პროგრამის შემუშავებასა და შემდგომ განხორციელებაში ჩართულია

აკადემიური და მოწვეული პერსონალი. **პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებაში.** საჯარო სტრუქტურის წარმომადგენლები სისტემატურად ატარებენ უნივერსიტეტში ღია ლექციებს სხვადასხვა საინტერესო თემაზე. ამასთან, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებშიც თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ღებულობს მონაწილეობას. პროფესორ-მასწავლებლები ჩართული არიან კვლევით პროექტებში, მაგალითად, ორი ინტერვიუირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტი და პუბლიკაცია მხარდაჭერილი იქნა უნივერსიტეტის მიერ. ამჟამად აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს აქვს როგორც მატერიალური, ისე - ფინანსური რესურსები და პარალელურად მიმდინარეობს სამომავლო სტრატეგიის კონცეფციაზე მუშაობა, რათა გამყარდეს არსებული მხარდაჭერა და კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია არა მხოლოდ პერსონალში, ასევე - სტუდენტებში. უდავოდ საყურადღებოა, რომ სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევითი აქტივობების გაზრდის მიზნით უნივერსიტეტს აქვს **საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან** (ჰამბურგის ევროპული კოლეჯი, ვარმიას უნივერსიტეტი, მარბურგის უნივერსიტეტი) **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.** თუმცა, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ **რამდენიმე შემთხვევაში აუცილებელია სამეცნიერო აქტივობებსა და პროფესიულ ტრენინგებზე აქცენტების გაკეთება.** კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში 2014, 2015, 2016, 2017 წლის შემდეგ ჩანს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პროფესიული კურსების თუ ტრენინგების გავლის ნაკლებობა ან არარსებობა.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულების ნიმუშებში გათვალისწინებულია, რომ კონფიდენ-ციალობის დაცვა ევალება დასაქმებულს (მე-9 მუხლი), არადა ეს როგორც დასაქმებულის, ისე დამსაქმებლის მოვალეობად განიხილება. სასურველია, აღნიშნული დეტალი ჩასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.tou.edu.ge/ ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის განვითარების ღონისძიებები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- პერსონალის ტრენინგებში, სემინარებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელის დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები/ ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა მოითხოვოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა სრულად ასახვა CV-ში.
- სასურველია, გასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში არის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. დაწესებულების შენობა არის ახალგარემონტებული და კეთილმოწყობილი. პროგრამით **დადგენილი ძირითადი აქტივობები ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ** ცენტრში, ასევე, ლაბორატორიაში. ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო აუდიტორიები არის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადოდ კეთილმოწყობილი. მათი დახმარებით უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა. აქვე საყურადღებოა, რომ საქართველოში პირველად თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიასა და ორგანიზაცია „უფლებები საქართველოსთან“ პარტნიორობით, **ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს და ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით გაიხსნა „ადამიანის უფლებათა მედიალაბორატორია.“** ის ფუნქციონირებს სტუდენტთათვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების მიზნით. მედიალაბორატორია სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, პროფესიონალებთან ერთად იმუშავონ ჟურნალისტიკის, კომუნიკაციის, პიარის და ადამიანის უფლებების დარგებში არსებულ გამოწვევებზე, ასევე, შექმნან ახალი სასწავლო და სატრენინგო კურსები, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა ჟურნალისტიკის სტანდარტების დამკვიდრებას. ამასთან, გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში ლაბორატორია დახმარებას სთავაზობს ყველას, ვის მიმართაც შეიზღუდა გამოხატვის თავისუფლება. თუმცა ინტერვიუებიდან და დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა ლაბორატორიების გაზრდა-გაფართოებისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობა. უნივერსიტეტში **სასწავლო-კვლევითი გარემო და აუდიტორიები განახლებულ-გაუმჯობესებულია.** ამავე დროს, სტუდენტთა და ლექტორთა მუშაობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში მოწყობილია საკონსულტაციო შეხვედრებისთვის გათვალისწინებული ადგილები. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს **თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ფონდი, კომპიუტერული კლასები.** ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწი-

ნებული თანამედროვე ლიტერატურა. დათვალიერებისას შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 3-4 ნაშრომი, რომელთა ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში მოიძებნა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების სახით. ამასთან, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტთა ინტერესები სრულად დააკმაყოფილოს. მაგალითად, თუ სტუდენტი განცხადებას გაუგზავნის უნივერსიტეტს კონკრეტული წიგნის ელექტრონული ფორმით მიღების შესახებ, მისი მოთხოვნა მყისიერად ან მაქსიმუმ 2-3 დღეში კმაყოფილდება. ეს უდავოდ მნიშვნელოვანია, მით უფრო, კოვიდის გავრცელების პირობებში.

ასევე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩართულია შესაბამისი **პროფილის სამეცნიერო ბაზები, რომლებიც** უზრუნველყოფს საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსს ღია წვდომას ისეთი ბაზებიდან, როგორიცაა:

- https://doaj.org/;
- http://www.opendoar.org/index.html;
- http://roar.eprints.org/ .

ამასთან, 2019 წლიდან კერძო უნივერსიტეტების ინიციატივითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური დახმარებით უნივერსიტეტში ჩაირთო Scopus-ის, Science-direct-ისა და Funding institutional-ის ბაზები. მათი დახმარებით **უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მეტი ინფორმაცია უახლესი კვლევისა და სამეცნიერო გრანტების** თაობაზე. ამ გზით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო სტატიები და სფეროს უახლესი კვლევითი სიახლეები, თანამედროვე მიდგომები. სამეცნიერო ბაზებზე დადგენილია დროებით ღია წვდომის დაშვების შესაძლებლობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დაწესებულებასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ **ბიბლიოთეკასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი,** რომლის თანახმად, თუ არსებობს წიგნზე მოთხოვნა, ბიბლიოთეკას შეუძლია, დამატებითი საინფორმაციო რესურსით უზრუნველყოს დაინტერესებული პირი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს რესურსებისა და **მომსახურების ხარისხის შესახებ გამოკითხვებს, კვლევას, შედეგები გაანალიზდება** და ბიბლიოთეკის განვითარებისთვის მზადდება შესაბამისი რეკომენდაციები. ბიბლიოთეკის მუდმივად ზრდადი ფონდი ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიმართულებით.

აქვე საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის **შემოსასვლელი და ოთახები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის, კერძოდ, დამონტაჟებულია** ე.წ. „პანდუსები.“ პანდემიის პირობების გათვალისწინებით,

უნივერსიტეტში არის დეზობარიერები, ხელის დამუშავებისთვის აუცილებელი სადეზინფექციო აპარატები და სხვ. ჩანს, რომ ჯეროვნად არის დაცული კოვიდრეგულაციები.

ამდენად, უნივერსიტეტის **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული სასწავლო გარემო** მთლიანობაში იძლევა პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა, დგას ლაბორატორიებისა და მათთვის აუცილებელი ინვენტარის (კამერებისა და სხვა) რაოდენობის გაზრდის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი: http://tou.edu.ge/Library
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი: https://openbiblio.tou.edu.ge/opac/ ;
- სამეცნიერო ბაზები/საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 2017 წლის 17 მაისს გაფორმებული მემორანდუმი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ლაბორატორიების დამატებისა და მათთვის აუცილებელი ინვენტარის გაზრდის ტენდენცია გაგრძელდეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული ბიბლიოთეკა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო **პროგრამის ფინანსური გეგმა შეიცავს ხარჯებს როგორც 1 წლის, ისე 5 წლის ფარგლებში.** ეს საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, დადგინდეს, რა ფინანსებია გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტებისთვის 1 წლის განმავლობაში, მეორე მხრივ, დავინახოთ პროგრამის ბიუჯეტი სამომავლო 5-წლიან პერსპექტივაში. **პროგრამის ფინანსური გეგმა გადანაწილებულია 2021-2022, 2022-2023, 2023-2024, 2024-2025 სასწავლო წლების მიხ**ედვით. ბიუჯეტის დოკუმენტში წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტები: ▪ ერთი სტუდენტის ერთ სასწავლო წელს სწავლის საფასური; ▪ სტუდენტების რაოდენობა; ▪ შემოსავალი 20 სტუდენტიდან ერთ სასწავლო წელს. ამასთან, ბიუჯეტში ასახულია თანხა სხვადასხვა საჭიროების მიხედვით პროცენტული გაანგარიშებით: ▪ *ხელფასების ბიუჯეტი - 40%;* ▪ *სასწავლო რესურსის ბიუჯეტი - 10%;* ▪ *კონფერენციებში მონაწილეობა - 10%;* ▪ *სამეცნიერო სტატიები - 8%;* ▪ *სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონისძიებები - 8%;* ▪ *სტიპენდიები/შეღავათები - 5%.* ფაქტობრივად ბიუჯეტი **ეფუძნება უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს და იგი, ძირითადად, ეკონომიკურად მიღწევადია.** უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები, საბოლოო ჯამში, პროგრამის

განხორციელებასა და სწავლის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. ამასთან, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებისამებრ შესაძლოა სხვა პროგრამებიდან საბიუჯეტო რესურსების გადმოტვირთვა, რაც პროგრამის ფინანსურ მდგრადობას მოემსახურება. თუმცა იგრძნობა პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში წლის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების (გრანტები, სამეცნიერო მივლინებები, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის დაფინანსება, ინფრასტრუქტურის განახლება-გამდიდრება და სხვა) ნათლად და დეტალურად გათვალისწინების საჭიროება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ●
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები, სასწავლო-სამეცნიერო მიზნების სრულად განხორციელებისთვის კი განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ღონისძიებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული **პერსონალი მთლიანობაში თანამშრომლობს ხარისხის მართვის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების** პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. ამავე დროს, პერსონალი იყენებს თავის საქმიანობაში მიღებულ შედეგებს სასწავლო პროცესისა თუ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. შეფასებაში ჩართული არიან: ➢ *აკადემიური/მოწვეული პერსონალი;* ➢ *სტუდენტები;* ➢ *ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.* **პროგრამისა და მისი განხორციელების შეფასების მიზნით** გამოიყენება

სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები, დასაქმების ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა ინტერვიურება და სხვა.

ამასთან, **ხარისხის მართვის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს საერთაშორისო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციით** (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია, პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი, სახელმძღვანელო კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესახებ, თუნინგის მასალები და სხვა), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი დოკუმენტია „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები“.

უნივერსიტეტში შემუშავებულია **სახელმძღვანელო დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“.** დოკუმენტი აერთიანებს პროგრამის განმავითარებელი ჯგუფისა და განმახორციელებელთათვის ყველა იმ მეთოდურ თავისებურებას, რაც პროგრამის/სილაბუსის შემუშავებისას არის გასათვალისწინებელი. ამასთან, მასში ასახულია უცხოეთის საუკეთესო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ამდენად, უნივერსიტეტის ხარისხის **უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს**, რაც საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება-დახვეწას უწყობს ხელს.

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია ხარისხის **მართვის დეპარტამენტის დაკვირვება სასწავლო პროცესზე და საჭიროებისამებრ შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.** ამ დროს ფასდება სასწავლო პროცესი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სერვისები, ინტერნაციონალიზაცია, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა, სტუდენტთა სწავლის შედეგები, მართვის ეფექტიანობა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობა, კურსდამთავრებულები, ე.წ. „SWOT“ ანალიზი და სხვა. სწორედ ასეთ ღონისძიებებს მოჰყვა შედეგად სასწავლო გარემოს განახლება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესება, კომპიუტერული კლასები აღიჭურვა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, ბიბლიოთეკაში გაიზარდა ადგილების რაოდენობა და დაიხვეწა მომსახურება, გამოიყო სტუდენტებისა და ლექტორების მუშაობის ხელშეწყობისთვის საკონსულტაციო შეხვედრების ადგილები, გაძლიერდა უსაფრთხოების მექანიზმები, გაიმართა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა და სხვა.

ამასთან, პანდემიის პირობების **გათვალისწინებით, უნივერსიტეტში დაინერგა ჰიბრიდული სწავლების მეთოდი** (სინქრონულად ელექტრონული და სააუდიტორო სახით). სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით სტიპენდიის დანიშვნის წესში შევიდა ცვლილება, რასაც შედეგად მოჰყვა სტიპენდიანტთა რაოდენობის

გაზრდა. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მიაქცია ყურადღება სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის საკითხს, დაინერგა სტაჟიორთა აყვანის წესი. ასევე, მოქნილი გახდა სტუდენტური მომსახურება. მაგალითად, ბიბლიოთეკაში შემოვიდა სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა სტუდენტისთვისაც ელექტრონული თუ ბეჭდური ფორმით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **არაპირდაპირი შეფასების მეთოდად** უნივერსიტეტი **იყენებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მაჩვენებლებს**. ასევე, ყურადღება ექცევა სტატუსის შეჩერებისა და დენადობის სტატისტიკას, დაკვირვების შედეგების საფუძველზე კი უნივერსიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

უნივერსიტეტში თვლიან, რომ **პროგრამის თვითშეფასება თანამონაწილეობით ხასიათს ატარებს და მასში მონაწილეობენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, სტუდენტები, დამსაქმებლებლები (არაპირდაპირი გზით).** თვითშეფასების ჯგუფი აგროვებს ინფორმაციას, რომელიც გადაიხედება და შესაბამისი მიმართულებით აისახება თვითშეფასებაში. მტკიცებულებები ეფუძნება უშუალოდ პროცესის განხორციელებას.

პროგრამის **განმავითარებელი ჯგუფის მიზანია პროგრამის გაუმჯობესება,** პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, უკუკავშირის საფუძველზე შემდგომი განვითარების გზების დასახვა. თუ გამოვლინდა ხარვეზი, განისაზღვრება მის აღმოსაფხვრელად გონივრული ვადა, თუმცა გრძელვადიანი პრობლემის არსებობისას მუშავდება შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

მართალია, ხარისხის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები, მაგრამ წარმოდგენილი მასალის გაცნობიდან ირკვევა გარკვეული დეტალების დახვეწის საჭიროება, სახელდობრ, გასამიჯნია სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმები და ცალ-ცალკეა შესაფასებელი როგორც სასწავლო კურსები, ისე პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ექსპერტის შეფასება;
- დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი და შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი;
- სტუდენტთა მხრიდან პროგრამისა და სერვისების შეფასების ფორმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები პროგრამის შეფასების თაობაზე;

○ ხარისხის მართვის დეპარტამენტის ანგარიში და რეკომენდაციები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასების დროს ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც დგინდება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

აკრედიტაციის **ექსპერტთა 2012 წლის შეფასებიდან პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაციათა გარკვეული** ნაწილი:

- სტუდენტთა მიერ პრაქტიკული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა პროგრამით;
- სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მექანიზმების დახვეწა;
- სტუდენტთა ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები ვალიდური გახდა, ასევე, სილაბუსების სპეციფიკას მოერგო;
- პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა;
- ჟურნალისტიკის ლაბორატორია;
- პრაქტიკის ობიექტთა გაზრდა და სხვა.

ამასთან, პროგრამას **აფასებს პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან დარგის კვალიფიციური სპეციალისტი** (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე), შეფასებები კი აისახება პროგრამაში. ეს ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. მიღებული უკუკავშირის შედეგად გამოხმაურებებს განიხილავს პროგრამის განმახორციელებული პერსონალი, სამომავლო ქმედების განხორ-ციელების შესახებ მოსაზრებები კი წარედგინება სკოლის საბჭოსა და პროგრამის განმავითარებელ ჯგუფს. თუ დადგა პროგრამაში ცვლილებების შეტანის საკითხი, ის გადის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულ პროცედურას.

რაც შეეხება **გარე კოლეგიალურ შეფასებას, ის სამ წელიწადში** ერთხელ ტარდება.

მეტი სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ **უშუალოდ პროგრამის შიდა შეფასება ვერ იქნება სხვა უნივერსიტეტის აკადემიური წრისა და პროფესიული სფეროს წარმომადგენელთა შეფასებები.** მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება გარე შეფასებას, რომელიც განახორციელეს 2021 წელს აკადემიური და პროფესიული სფეროს ცნობილმა წარმომადგენლებმა. ისინი ფაქტობრივად იდენტური შინაარსისაა და დადებითად აფასებენ პროგრამას. პროგრამის გარე შეფასებით დადგენილია, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და მრავალმხრივი, ხოლო წარმოდგენილი სასწავლო კურსები ზუსტად პასუხობს მედიის თანამედროვე მოთხოვნებს. იგივე კომპონენტები აქვს წარმოდგენილი ევრაზიის უნივერსიტეტის წარმომადგენელ უცხოელ პროფესორსაც თავის შეფასებაში და თან ამატებს, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბებას არა მხოლოდ ლოკალური, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა, შეფასებაში არ გვხვდება პროგრამის კონკრეტული დებულებები, რაიმე **რეკომენდაცია პროგრამის განვითარებისთვის და როგორც დადებითი, ისე გამოსასწორებელი მხარეების მოკლე დასაბუთება.** ეს პროგრამის შესახებ შედარებით სრულ წარმოდგენას შექმნიდა. თვითშეფასების ანგარიში ვერ გვაძლევს ამაზე სრულყოფილ სურათს. შესაბამისად, პროგრამის

გარე შეფასების რელევანტურობა წარმოშობს კითხვებს, ვინაიდან სრულად ვერ უზრუნველყოფს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების იდენტიფი-ცირებას. ამასთან, ძლიერი და სუსტი მხარეები კონკრეტულ სტანდარტს უნდა ეფუძნებოდეს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არაა დაცული. აქვე ჩანს, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, დასაქმების მაჩვენებელთან მიმართებით) გარკვეულ ნაწილში სხვა სკოლების მონაცემებია წარმოდგენილი და უშუალოდ განსახილველი პროგრამის მაჩვენებელი იკარგება. ამ პირობებში მხოლოდ თვითშეფასების დოკუმენტით შეუძლებელია გარე შეფასების ძირითად კომპონენტებზე მსჯელობა და მისი გაანალიზება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გარე ექსპერტთა შეფასებები; ○ აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყოს, ასევე, შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან გამომდინარეობდეს და თვითშეფასება მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება, გარე შეფასების ინსტრუმენტები (გამოკითხვები, ანკეტები, კითხვარები) დაიხვეწოს და განისაზღვროს მათი გამოსწორების რელევანტური ღონისძიებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების გზით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობის გეგმა**, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თითოეული შედეგის მიღწევის შეფასების რეკომენდირებული პერიოდი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, **სამ წელიწადში ერთხელ** ხდება პროგრამის გარე შეფასება, ხოლო **ორ წელიწადში ერთხელ** ხდება საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენისა და ადაპტირების მიზნით. **პროგრამის შეფასებას ახდენენ ასევე დამსაქმებლები,** კითხვარის შევსების გზით, რომლის ამოცანაა პროგრამის შინაარსში არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრის გზების დასახვა; **აფასებენ ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ხელმძღვანელები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი.** შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის და ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მონიტორინგის სისტემა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, თუმცა, გარკვეული ინსტრუმენ-ტები საჭიროებს გაუმჯობესებას. მაგალითად, გარე შეფასების მექანიზმი საჭიროებს დახვეწას შეფასების სტანდარტებთან მოყვანის თვალსაზრისით, რასთან დაკავშირებითაც შესაბამისი რეკომენდაცია გავეცით 5.2. სტანდარტის ქვეშ. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასების დროს უნდა გაიმიჯნოს კურსისა და ლექტორის შეფასება.

უნივერსიტეტში ასევე **ტარდება სასწავლო პროცესის სისტემატიური მონიტორინგი როგორც კოლეგიალური შეფასების, ისე სტუდენტების მიერ კურსის შეფასების გზით.** კოლეგიალური შეფასებების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს საჭიროებებს და გეგმავს შესაბამის ტრეინინგებსა და სამუშაო შეხვედრებს. სტუდენტების მიერ კურსის დასრულების შემდეგ კურსების შეფასების შედეგებს განიხილავს **კურსის ხელმძღვანელი, რომელიც ახდენს შესაბამის მოდიფიცირებას პროგრამის განმავითარებელ ჯგუფთან ერთად, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.**

გარდა შინაარსობრივი ნაწილის მონიტორინგისა, **გამოკითხვები გამოიყენება ასევე სასწავლო რესურსებისა და სწავლის ორგანიზების შეფასებისთვისაც.** პროგრამის, კურსებისა და რესურსების შეფასებები კომპლექსურად გამოიყენება პროგრამის შედეგების შეფასებისთვის და გაანალიზდება ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო შემდეგ მათი განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს.

ამასთან, გასათვალისწინებელია კვლევითი უნარების გაძლიერებაზე მეტი ყურადღების მიქცევა, რათა სტუდენტი მოემზადოს სამაგისტრო საფეხურზე სწავლების გასაგრძელებლად. ამ თვალსაზრისით, ჩანს საბაკალავრო ნაშრომებში აკადემიური სტანდარტების სათანადოდ დაცვაზე მონიტორინგის საჭიროება (დეტალურად იხ. 2.4 კომპონენტი).

აქვე ხაზი უნდა გაესვას ონლაინ ფორმატში სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) არის ადამიანის პერსონალური მონაცემები. ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე წესში. ამასთან, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტს აქვს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები შემუშავებული ელექტრონული სწავლების

ხარისხის უზრუნველყოფისა და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის. სახელდობრ, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სენატის 2020 წლის 1 აპრილის N107 დადგენილებით განსაზღვრულია ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი. აქ საფუძვლიანად არის მოწესრიგებული ელექტრონული სწავლების სინქრონული და/ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმები, ელექტრონული სწავლების მართვა და პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა, სტუდენტთა უფლებების უზრუნველყოფა, მათი პერსონალური მონაცემების დაცვა და სხვა. თუმცა ვინაიდან ამ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესში მითითებულია, რომ ის აწესრიგებს ელექტრონულ სწავლებას საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 ბრძანებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადაში, საჭიროა ამ ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებული დოკუმენტის შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- გამოკითხვების ფორმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო ნაშრომი;
- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სენატის 2020 წლის 1 აპრილის N107 დადგენილება;
- პროგრამების შეფასების პროცედურა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასების დროს ხარისხის შეფასების ფორმების მკვეთრად გამიჯვნა, სასწავლო პროცესის კომპონენტების დაცვა-შეფასებაზე სათანადო მონიტორინგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის მოქმედების ვადა გაახანგრძლივოს და ამის თაობაზე შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ანა ქეშელაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ზაზა ცოტნიაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა:
მიხეილ ბიჭია

სახელი, გვარი, ხელმოწერა
გიორგი გვენეტაძე